



ამ წიგნის მიზანი არ არის ისტორიის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ აქ გაცნობით რამდენიმე ავტორის სტატიას, სადაც ეთნოკონფლიქტების ისტორიაზე საუბარი.

ამ წიგნის მიზანი სრულიად სხვაა - მოიძებნოს რესურსები დიალოგისთვის და ურთიერთთანამშრომლობისთვის, რათა სამხრეთ კავკასიის ხალხების ისტორიაში დაიწყოს ახალი ეტაპი - ნდობის აღდგენა.

წინამდებარე პუბლიკაცია უნიკალურია იმიტომ, რომ მასში თავმოყრილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რეგიონების წარმომადგენელთა განსხვავებული მოსაზრებები. ამავე დროს, ავტორთა უმეტესობას აქვს განსაკუთრებული მიზანი - ხალხებს შორის ნდობის აღდგენა, შერიგება და მშვიდობის მშენებლობა.

სწორედ ამ მიზნის გარშემო ერთიანდება კოალიცია „ნდობის აღდგენისათვის“, რომელიც ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიაში და აერთიანებს როგორც გაეროს წევრ სამ ქვეყანას - საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს, ასევე - არაღიარებულ აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს.

წიგნში ასევე შესულია ევროპელი ავტორების ძალიან საინტერესო ნაშრომები და სტატიები, საიდანაც მკითხველი მიიღებს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა ნდობის აღდგენის პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში სისხლიანი კონფლიქტების შემდეგ. ეს გამოცდილება გვისახავს იმედს, რომ გარდამავალი მართლმსაჯულების სხვადასხვა მექანიზმების, ხალხთა შორის დიალოგისა და სხვა მშვიდობიანი რესურსების გამოყენებით, სამხრეთ კავკასიის სისხლიანი კონფლიქტების მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა შესაძლებელია.

გამომცემელი ორგანიზაციები:



ადამიანის უფლებათა ცენტრი



ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა პროექტ „კოალიცია ნდობის აღდგენისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ევროკავშირისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა სამხრეთ კავკასიაში 2012-2015 წწ ადგილობრივ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

